

№ 101
(11 558)

25 - 27 დეკემბერი, 2001 წ.

ფასი 20 თეთრი

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ლელოს“ ახლოვანი ფასი

20
თეთრი

გაზეთის ელექტრონული ვერსია
ელექტრონული ვერსია
გაზეთი 4-გვერდიანი.

რამომ დაგვიყენეს პრემიები მწვრთნელებმა?

გასულ პარასკევს, საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში სპეციალისტებისა და ჟურნალისტების თანდასწრებით შეაჯამა მიმდინარე წლის შედეგები. როგორც ცნობილია, ეს წელიწადი, ფედერაციისთვის წარმატებული გამოდგა - ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, სხვადასხვა ასაკში, მოპოვებულია 21 მედალი. ამავე შეჯამებაზე ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ თავგამორჩენილი სპორტსმენები და მათი მწვრთნელები.

წლის შემაჯამებელი სხდომის შემდეგ, მწვრთნელებმა ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს უკან ჩააბარეს მათთვის გადაცემული თანხა სიტყვებით. „ეს ხურდა უკან დაუბრუნეთ“. თუ ვის გულისხმობდნენ არ დაუკონკრეტებიათ. თანხა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ფედერაციამ გამოჰყო.

შეკითხვაზე, თუ რატომ აბრუნებენ უკან პრემიას, მწვრთნელებმა განაცხადეს „დაითვალეთ და მიხვდებით“. ფული, ცხადია, არ დაგვიტოვია. შედეგების შემაჯამებელ სხდომაზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა განაცხადა, რომ სპორტსმენთა და მწვრთნელთა პრემიების თანხობრივი ზღვრის დასადგენად, მთავრობაში შეტანილია შესაბამისი წერილი.

უსასილო დახმარება

საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირების თხოვნით, თვალის მიკროქირურგიის კლინიკა „ოფთალმიჯი“ (დირექტორი გიორგი ჯავრიშვილი) უფასოდ ჩაუტარა გამოკვლევა 30 სპორტსმენს და სპორტის მუშაკს (თითოეული გამკვლევის საფასურია 45 ლარი).

ზემოსხენებული პროფკავშირი მაღლობს უხდის უანგარო შემწეობისთვის „ოფთალმიჯის“ დირექტორს, მთელ კოლექტივს და ულოცავს დამდეგ ახალ წელს.

გაპარცვენ სპორტის დახმარებები

გუშინ, დილით, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში მისულ თანამშრომლებს თვალწინ უცნაური სანახაობა გადაეშალათ - ყველა კაბინეტი და სამუშაო ოთახი, ბუფეტების ჩათვლით, აოხრებული და გაძარცვული დახვდათ. ყაჩაღებს დარაჯი გაუკოვავთ და თითქმის მთელი გრძელი დამის განმავლობაში უძარცვიათ ეს სახელმწიფო დაწესებულება.

ზარალი დგინდება. დაიწყო გამოძიება.



2001 წლის საუკეთესო ასვლები

საქართველოს მთამსვლელობა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სხდომაზე დასახელდა ეროვნული ფედერაციის ეგიდით 2001 წელს შესრულებული ხუთი საუკეთესო სპორტული ასვლა მწვერვალებზე.

„ბენდელას თასის“ საიუბილეო პათაბაზა პრემიების გაზიარებით

ეს გაზეთი, რომელსაც „ბენდელა“ ჰქვია, გუშინ იხილა მკითხველმა. საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული ფეხბურთელის, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერის ზაზა ბენდელიანის ხსოვნის საფეხბურთო ტურნირის წყალობით შეაჯამდა.

„ბენდელას თასის“ ასპარეზობისთვის კომპოზიტრმა ვაჟა ახარაშვილმა საგანგებოდ დაწერა პიში მიხო მოსულიშვილის ტექსტზე, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზე ქვეყნდება. გაზეთში დასტამებულია აგრეთვე შოთა ნიშინიანის ლექსი „შენ სინდისს თურმე საცრისტოლა თვალები ჰქონდა“. 12 გვერდიან გამოცემაში უხვადაა მოგონებები ბენდელას საგმირო საქმეებზე, გამოქვეყნებულია თასის გათამაშების ყველა მონაწილე გუნდის ფოტოსურათები და იმ სპონსორთა ნუსხა, რომელთაც თანადგომა გაუწიეს „ბენდელას თასის“ გათამაშების ორგანიზატორებს.


საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვით

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია მთლიანად მოიცვა ქართული ფეხბურთის ყველა პრობლემა, ილაპარაკო პერსპექტივებზე და მით უმეტეს ღრმა ანალიზი გაუკეთო განვლილ ეტაპს. კონკრეტული წერილის მიზანი ეს სულაც არ არის. თუმცა მივუბრუნდეთ ახლანაშ გაპარცვულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს, სადაც, მართალია, უფრო ზოგადად, მაგრამ მაინც გაცხადდა ის საკითხები, რომლებიც საკმაოდ აფერხებს ეროვნული ფეხბურთის წინსვლას. მათი წამოწევა უკვე გარკვეული შედეგია და მისასაღებელია.

ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...



საკრამენტო - ფინიქსი 133-101
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (26), ტურქული (21)
ფინიქსი: დევი (24), მერიონი (20)



ტორონტო - მაიაში 83-76
ტორონტო: კარტერი (27), ლევისი (12), კერი (12)
მაიაში: ჯექსონი (12), ჯონსონი (11)


აღმოსავლეთის კონფერენცია დასავლეთის კონფერენცია

Table with columns for team names and statistics (points, rebounds, assists, etc.).

Table with columns for team names and statistics (points, rebounds, assists, etc.).

„ბენდელას თასი“

პირველი მატჩები
შეგარდენი - ცხინვალი 6-1
ლიდერი-ბაასი - ცხუში 3-1
ლოკომოტივი - ზოფგეტი 1-0
თბილისი - დინამო-2 1-0
ტორპედო - თიბი-სი 2-0
საბურთალო - ნაძალადევი 5-1
ბუშინი: თიბი-სი - ზოფგეტი 2-0,
საბურთალო - ლიდერი-ბაასი 2-1.



ციტატა



გაზეთ „დრონი“ კორესპონდენტის ერთ შეკითხვაზე - ფსიქოლოგი დავით ამირჯანიძის პასუხობს: „წინაინ წლების შემდეგ ძალიან კარგად არის გაცნობიერებული სპორტის დიდი როლი ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრებაში. ამიტომ ებრძვიან ჩვენთან სპორტს. ეს არის მიზანდასახული ბრძოლა ეროვნული იდენტობისთვის წინააღმდეგ. დღეს ჩვენს სპორტსმენებს უდიდესი მისია აკისრიათ. მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ საქართველოს გამთლიანებისთვის. ყოველი სპორტსმენის წარმატება დღეს ჩვენს სახელმწიფოს ეროვნული გამოწოდებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ყველა სპორტსმენმა უნდა გააცნობიეროს ეს ფაქტი. დღეს საბრძოლო მდგომარეობაა და ამ ბრძოლაში სპორტსმენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ“.

გულშემატკვირების მხრიდან თამაშის ალქის უნარი. ყველაფერს კი დრო სჭირდება, თანამედროვე ტენდენციების ათვისების გარეშე კი წინ ვერ წავალთ. ჩვენც ზოგადი ფრაზეოლოგიით ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, უმჯობესია შობა-ახალი წლის დადგომაზე კიდევ ერთხელ გავისინოთ ეროვნული ჩემპიონატის ზოგიერთი დეტალი, გადავხედოთ გათამაშების ცხრილებს.

უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს არადადებები აქვთ. თუმცა იანგორის დასაწყისიდან კლუბების უმეტესობის საწვრთნელი ბაზები კვლავ ანაბურდება, მეტნაკლებად შეიცვლება გუნდების შემადგენლობაც, დასასრულზელია პირველი ეტაპის დარჩენილი ოთხი ტური, რომლის შემდეგაც ჩემპიონატის სრულყოფილ სახეს მიიღებს და დაიწყება უშუალოდ მედლებისთვის და ლიგებში წინ წაწევისთვის ბრძოლა. ბევრი რამ პირველობაზე ჭერ კიდევ გასარკვევია. დამშვიდების უფლება არავის აქვს. ჩემპიონატის ცხრილები, წარმოიდგინეთ,

